წერილის ნომერი: **16-01193014331**
თარიღი: **28/10/2019**
პინი: **5035**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
ბატონ თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2019 წლის 8 ოქტომბრის თქვენი N 17-011928159-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება გლდანის Iმ/რ-სა და მუხიანის Iმ/რ-ს შორის ნაკვეთი #2/82 (ს/კ:01.11.13.002.217) მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ფარგლებში (AR1707756) პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. ზეგავლენის შეფასება შეიცავს ხარვეზებს.

საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების მონაცემები და სამუშაო მასალა ციფრულ რედაქტირებად ფორმატში:

- საფეხმავლო ინფრასტრუქტურის რუკის ფაილები (.shp ფორმატი);
- მოძრაობის ორგანიზების სქემა (.dwg/.shp)
- საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა და რეზერვი: ნაკადების ინტენსივობა (ასევე დაყვანილი), გამტარუნარიანობისა და რეზერვების გაანგარიშების ცხრილები (.xlsx);

შესაბამისად სამსახური, ამ ეტაპზე, მოკლებულია პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას. სამსახური პოზიციას დააფიქსირებს ხარვეზების გამოსწორების და მასალის წარმოდგენის შემდეგ.

ხარვეზები წარმოდგენილია დანართის სახით.

დანართი 1: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

შენიშვნები (AR1707756):

არ არის წარმოდგენილი:

- რუკების, სქემების და გაანგარიშებების სამუშაო მასალები.

გამოსასწორებელია:

- საკვლევი კვანძის სქემატურ რუკაზე არ არის დატანილი მოძრაობის ზოლების რაოდენობები თითოეული მიმათულებისთვის.
- წრიული კვანძის დატვირთულობის ანგარიში არასწორია. ფორმულა ითვალისწინებს წრეზე შემსვლელი და წრეზე მოძრავი მიმართულებების ინტენსივობას ცალ-ცალკე, წარმოდგენილ გაანგარიშებაში - გაერთიანებულია